ვინც ალლაჰისთვის მეჩეთს ააშენებს, ალლაჰი მას სამოთხეში მსგავს სახლს აუშენებს

გადმოცემულია მაჰმუდ იბნ ლაბიდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): რომ 'უსმან იბნ აფფანს (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) სურდა მეჩეთის გადაკეთება, მაგრამ ხალხს ეს არ მოეწონა და სურდათ, რომ დარჩენილიყო ისეთი, როგორიც იყო. მან თქვა: "გავიგონე, რომ ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ვინც ალლაჰისთვის მეჩეთს ააშენებს, ალლაჰი მას სამოთხეში მსგავს სახლს აუშენებს"».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

'უსმან იბნ აფფანს (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) სურდა მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მეჩეთის ხელახლა აშენება ისე, რომ ის უკეთესი ყოფილიყო პირვანდელ მშენებლობაზე. თუმცა ხალხს ეს არ მოეწონა, რადგან ეს შეიცავდა მეჩეთის სტრუქტურის შეცვლას იმ სახით, როგორიც იყო იგი მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დროინდელ პერიოდში. იმ დროს მეჩეთი აშენებული იყო თიხის აგურებით და მისი სახურავი დამზადებული იყო პალმის ფოთლებისგან. 'უსმანს (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) კი სურდა, რომ იგი აეშენებინა ქვითა და თაბაშირით. 'უსმანმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ხალხს უთხრა, რომ მოისმინა მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ნათქვამი, რომ ვინც ალლაჰის კმაყოფილებისთვის მეჩეთს ააშენებს, არა თავის გამოჩენის ან ქების მიზნით, ალლაჰი მას მის ქმედებაზე საუკეთესო ჯილდოს მისცემს, და ეს ჯილდო არის ის, რომ ალლაჰი მისთვის მსგავს აუშენებს სამოთხეში.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65089

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee